როგორც მოგეხსენებათ, არქიტექტურული ნაწარმოების რეალობაში განხორციელება სამშენებლო სფეროს ფუნდამენტური ცოდნის, გამოცდილების, თანამედროევე ტექნოლოგიების დანერგვის, განახლებული ცოდნის გარეშე წარმოუდგენელია. შესაბამისად კვლევის პროცესში ინტერესი გამოიწვია სამშენებლო სფერომ. ვენის თანამედროვე არქიტექტურული პროექტები გამოირჩევა მრავალფეროვანი სტილით, ჟანრით და უმეტესად ტექნოლოგიურად სამშენებლო ინსტიტუციების მაღალ დონეზე მეტყველებს. რაც გასაკვირი არც არის, რადგან ავსტრიაში ერთდროულად ძლიერია საგანმანათლებლო სისტემა, საკანონმდებლო რეგულაციები, სამშენებლო სფეროს კონტროლი და მაღალი საზოგადოებრივი პასუხისმგებლობა. გარდა ვენის ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტისა, ვენაში არსებობს კამილიო სიტეს სახელობის სამშენებლო კოლეჯი, რომელიც თითქმის ორ საუკუნეს ითვლის და არსით, სწავლების მეთოდებით, შესაძლოა უტოლდებოდეს კიდეც ბევრი სხვა ქვეყნის უმაღლეს სასწავლებელს.



*ვენის  კამილიო სიტეს სახელობის სამშენებლო კოლეჯი*

კოლეჯის არსებობის შესახებ ჩემი მასპინძლების ნენსი ჭიჭინაძისა და ვოლფგანგ ჩიდასგან შევიტყვე. ბატონმა ვოლფგანგმა მიამბო, რომ კერძო საქმიანობასთან ერთად 2006 წლიდან მუშაობს კოლეჯის მედიატორად. ხოლო 2010 წელს დაინიშნა HTL 3 (Camillo Sitte Bautechnikum) პროფესორად.

**ვოლფგანგ ჩიდა:** ,,2010 წლიდან ვხელმძღვანელობ "გეოინფორმაციული კომპეტენციის ცენტრს", სადაც მიმართულებაში "ინფრასტრუქტურა" კვლევას და გეოინფორმაციას ვასწავლი. კოლეჯი აღჭურვილია ისეთი უახლესი ტექნიკით, როგორიცაა ტოტალური სადგური, ლაზერული სკანერები, GNNS მიმღები, თეოდოლიტები, საზომი ხელსაწყოები და სხვადასხვა ინსტრუმენტები. აღნიშნული მოცემულობა გვაძლევს საშუალებას თეორიულ კურსთან ერთად ჩავატაროთ პრაქტიკული გაკვეთილები, ლექციები. ეს პროცესი ხელს უწყობს გეოინფორმაციის ძირითადი უნარების, პრინციპების განვითარებას. ასევე, სამოქალაქო ინჟინერიისა და სამშენებლო ინდუსტრიის სიღრმისეულ დაუფლებას.

ახალგაზრდებთან მუშაობა საინტერესოა, როგორც სასწავლო ეტაპზე, ასევე, დასკვნითი და სადიპლომო ნაშრომების დამუშავების პროცესში. რადგან აქ შედეგები ხილულია და საინტერესოა..."

Wolfgang Tschida: ,,Seit 2010 leite ich „das Kompetenzzentrum Geodäsie", wo ich bei der Studienrichtung „Infrastruktur" Forschung und Geoinformation unterrichte. Das Technikum ist mit solcher neuesten Technik ausgestattet, wie zum Beispiel Totalstation,

Laserscanner, GNNS Empfänger, Theodoliten, Messgeräte und verschiedene Instrumente.

Das Erwähnte gibt uns die Möglichkeit, neben dem theoretischen Kurs auch praktische Unterrichte, Vorlesungen anzubieten. Dieser Prozess fördert die Entwicklung von wesentlichen Fertigkeiten und Prinzipien in der Geodäsie, sowie gründliche Aneignung von Bauingenieurwesen (Civil Engineering) und Bauindustrie.

Die Arbeit mit den jungen Menschen ist sowohl während des Unterrichts als auch im Prozess der Bearbeitung von Abschluss- und Diplomarbeiten interessant, weil hier die Ergebnisse sichtbar unmitettebler und vieltaltip sind.."



*კამილიო სიტეს ბიუსტი*

ბატონი ვოლფგანგის ნაამბობის შემდეგ გაჩნდა იდეა კოლეჯი თავად მენახა და გამეზიარებინა ავსტრიული, მრავალწლიანი საგანმანათლებლო გამოცდილება. კოლეჯში ვიზიტმა მოლოდინს გადააჭარბა და იქცა არამხოლოდ საუკეთესო მოგონებად, არამედ ძალიან სასარგებლო, საჭირო ინფორმაციის წყაროდ და ახალი იდეების დაბადების მიზეზად. მაგრამ ვინაიდან ვენაში ვიზიტის მთავარი ამოცანა და პანდემია ,,კოვიდ 19" არ მაძლევდა იდეების რეალიზების საშუალებას, ამ საკითხს 2023 წელს კონკრეტული კითხვებით კვლავ დავუბრუნდი.

ვიდრე კამილიო სიტეს სახელობის კოლეჯიდან რეპორტაჟს შემოგთავაზებთ, მინდა კოლეჯის შექმნის და განვითარების ისტორიას თვალი გადავავლოთ და კიდევ ერთხელ დავრწმუნდეთ, რომ სწორად გააზრებული იდეა, საქმე დროში და სივრცეში არ იკარგება.

## წარსულში დაბადებული მომავალი

სამშენებლო კოლეჯმა დაბადებიდან დღემდე განვითარების სხვადასხვა ეტაპები გაიარა. იდეა - ქალაქ ზალცბურგში დაარსებულიყო სახელმწიფო სავაჭრო სკოლა ჯერ კიდევ XIX საუკუნეში, 1875 წელს არქიტექტორს, ურბანისტსა და პუბლისცისტს კამილიო სიტეს ეკუთვნის. მოგვიანებით სკოლამ ზალცბურგიდან ვენაში, პირველ უბანში Schellinggasse 13-ში გადაინაცვლა. თავდაპირველად ფუნქციონირებდა სამშენებლო და მანქანათმშენებლობის განყოფილება, ოსტატის სკოლა. მოგვიანებით მას დაემატა ავიაცია და ელექტროინჟინერია. სკოლა თანამშრომლობდა ახლანდელ ვენის ტექნიკურ უნივერსიტეტთან, იმ დროისთვის კი კარლსპლაცის პოლიტექნიკურ ინსტიტუტთან. სკოლას 1920 წელს უწოდეს ფედერალური სავაჭრო სკოლა.

მოგვიანებით, 1982-83 სასწავლო წელს ფედერალურ სავაჭრო სკოლას სამშენებლო ტექნოლოგიის განყოფილება გამოეყო ეწოდა და დაარსდა კამილიო სიტეს სახელობის სამშენებლო სასწავლებელი. აღნიშნული ფაქტი ღირსეული დაფასებაა მე-19 საუკუნეში დაწყებული იმ დიდი საქმისა, რაც დიდმა არქიტექტორმა და მოღვაწემ კამილიო სიტემ წამოიწყო. მისი იდეა, არა მხოლოდ აწმყოზე, არამედ მომავლის შექმნაზე იყო გათვლილი...

## რეპორტაჟი კოლეჯიდან

2023 წლის 18 ოქტომბერს ვესტუმრეთ კოლეჯს. ჩვენი მასპინძელი კოლეჯის დირექტორი, არქიტექტორი, სამოქალაქო ინჟინერი, ხელოვნების ისტორიკოსი, პედაგოგი და საინტერესო ადამიანი ბატონი კრისტოფ მიულერი იმ დღეს, კვირის წარმა-



*ვოლფგანგ ჩიდა.*
*პროფესორი. დიპლომირებული ინჟინერი*
*დიდი მადლობა ბატონ ვოლფგანგს*
*საქართველოს დიდ მეგობარს და გულშემატკივარს*

# რეპორტაჟი ვენის კამილიო სიტეს სახელობის სამშენებლო კოლეჯიდან



*კოლეჯის დირექტორმა ბატონმა ქრისტოფ მიულერმა (მარცხნიდან პირველი), პედაგოგებთან ერთად, კვირის წარმატებულ ჯგუფს (პედაგოგი, ინჟინერი - კარლ ჰეინც რეინდლი) ტკბილეული გადასცა და პირადად გადაუხადა მადლობა.*

ტებული ჯგუფისთვის საჩუქრის გადაცემას გეგმავდა და ამ ცერემონიის თანამონაწილეობა შემოგვთავაზა. მანამდე კი შენობაში ექსკურსიამძღოლობაც გაგვიწია. ყველა აუდიტორიაში შეგვახედა, კოლეგებთან ერთად დეტალურად გვიამბო სახელოსნოების შესახებ. აქ სტუმარ-მასპინძლობა, ღიმილი და კეთილგანწყობა კოლეჯის მთავრი სავიზიტო ბარათია.

კამილიო სიტეს სამშენებლო კოლეჯი ოთხსართულიან შენობაშია განთავსებული და სამი ძირითადი სივრცისგან შედგება: აუდიტორიები თეორიული სწავლებისთვის, პრაქტიკული სასწავლო სახელოსნოები და მოსასვენებელი სივრცეები, როგორც გარეთ, ასევე შენობის შიგნით. საკონფერენციო და სპორტული დარბაზები, ბიბლიოთეკა, გარე სამკითხველო

სივრცე, სასადილო - აქ ყველა-



ფერია იმისთვის, რომ შენობაში სწავლასთან ერთად განტვირთვა და დასვენების საათი მოიწყო.

განსაკუთრებით შთამბეჭდავია სახელოსნოები და შენობის დერეფნებსა თუ ეზოში სტუდენტების მიერ შექმნილი ხის ნაკეთობების გამოფენა.

**დიპლომირებული ინჟინერი, პედაგოგი ანდრეას პლეუერი:**

,, HTL არის ავსტრიული სასკოლო სისტემა. ჩვენ ვასწავლით, როგორ ააშენონ და შექმნან შენობები, რომ ადამიანები გააბედნიერონ.

,,HTL ist Österreichisches Schulsystem. Wir lehren, wie man Gebäude baut und schafft, damit man die Menschen glücklich macht...“

სასწავლო-სამშენებლო მოედანი არსებითად მოიაზრებს იმ მასალებზე მუშაობას, რომლებიც დღეის მდგომარეობით სამშენებლო სფეროში მუშავდება. ესენია შეშა, მინერალური სამშენებლო მასალები, ასევე ფოლადი, რომელსაც სულ უფრო და უფრო მეტი გავლენა აქვს სამშენებლო ობიექტების ფორმირებაზე.

როგორც ხედავთ, სამშენებლო მოედანზე კლასები ჯგუფებად დავყავით. ერთი ჯგუფი მაქსიმუმ რვა მოსწავლისგან შედგება. ყოველდღე სხვადასხვა პროგრამა ტარდება. მოსწავლეები თითქმის მთელ დღეს ატარებენ სამშენებლო მოედანზე. გარდა სწავლისა, მათ აქვთ შესაძლებლობა ერთმანეთს გაუზიარონ თავიანთი ცოდნა და ისაუბრონ მათთვის საინტერესო თემებზე. განსაკუთრებით აღფრთოვანებულები არიან პრაქტიკული სამუშაოს შედეგით. სხვადასხვა ნაკეთობებით...“

კოლეჯში ფოლადის, აგურის, ხის და სხვა სახელოსნოები ერთმანეთს ცვლის. რთულია ნანახის სრულად აღწერა, მაგრამ ბატონი ანდრეას ნაამბობიდან რამდენიმე შტრიხს შემოგთავაზებთ:

## ფოლადის სახელოსნო

ფოლადი არის მნიშვნელოვანი სამშენებლო მასალა, რომლითაც აქ მუშაობენ. ფოლადის ბეტონზე კვლევით ლაბორატორიასთან ერთად ვმუშაობთ. ფოლადის ბეტონის გადამზიდები გვაქვს, რომლებსაც შემდეგ სამშენებლო მასალების ლაბორატორიაში წონიან და შესაბამის აზომვას ახორციელებენ. ამდენად მოსწავლეებს შეუძლიათ შეიტყონ, რა უნდა დაანგარიშდეს, რა არის საჭირო უსაფრთხოებისათვის. აქვე ხდება ფოლადის მავთულების მოღუნვა.

## აგურის სახელოსნო

სახელოსნოში ჩვეულებრივი ფორმატის აგურებს სამშენებლო კრიტერიუმებით ამუშავებენ. ეს არის ქვის მოწყობილობა, სრული თერმოიზოლაციის შექმნით ხორციელდება კრამიტით გადახურვა, გამოიყენება ასევე მოპირკეთების განსხვავებული ტექნიკები. აქვე ვაგებთ ფილებს.

## სადურგლო სახელოსნო

სპეციალური ფოლადის კონსტრუქციით, მშენებლებთან ერთად ავაშენეთ სადურგლო სახელოსნო. ამ სახელოსნოში ხდება შეფიცვრა. ხერხავენ, ბურღავენ და მცირე რაოდენობით ასევე ჩარხავენ და ჭედავენ. ხისგან მოსწავლეები სხვადასხვა პროდუქციას ამზადებენ.

აქვე გვაქვს სამი ელექტრონული შედუღების მოწყობილობა. ასევე გვაქვს სპეციალური დანადგარი არმატურის მოსაღუნად, რაც შემდეგ ჩაშენდება ზემოთ ბეტონში.

იმდენად საინტერესოა ახალგაზრდების ჯგუფური თუ ინდივიდუალური ძიების პროცესის დაკვირვება, სახელოსნოებთან განშორება რთულია, მაგრამ წინ კოლეჯში ვიზიტის მთავარი რაუნდი, ბატონ ქრისტოფერთან ინტერვიუ გველოდება.

***-ბატონო კრისტოფ, გმადლობთ გულთბილი მიღებისთვის.***

***ჩვენ ვიმყოფებით სასწავლებელში, რომელმაც დროს გაუძლო. განვითარდა, საინტერესო ისტორია შექმნა. თქვენი აზრით, რაშია კოლეჯის წარმატების გასაღები?***



- ჩვენს კოლეჯში სწავლება განსაზღვრულია როგორც ავსტრიისთვის, ასევე ცენტრალური ევროპისთვის. წარმატების გასაღები კი სწავლების მეთოდშია, რაც გულისხმობს თეორიისა და პრაქტიკის ნაზავს. სწავლების დიდი ნაწილი პრაქტიკულ მეცადინეობას ეთმობა და სტრატეგია პროფესიულ სწავლებაზეა ორიენტირებული. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენი სკოლის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულები მარტო სიმწიფის ატესტატს კი არ აიღებენ, არამედ პროფესიასაც შეიძენენ... მაგალითად მშენებელ-ტექნიკოსის პროფესიას.

***- კოლეჯის ხელმძღვანელობის პროფესიით არქიტექტორისთვის***







***გადაცემა სწორი სტრატეგიაა. რადგან არქიტექტურული ნაწარმოებისთვის მშენებლობის ფაზების სწორად დაგეგმვა და განხორციელება გადამწყვეტი ეტაპია. თქვენს ახლახანს დაინიშნეთ დირექტორის პოზიციაზე. რა იყო თქვენი თავდაპირველი ამოცანა, მთავარი პრიორიტეტი?***

- ჩემი მთავარი მიზანია კომუნიკაციის გაუმჯობესება. გვაქვს შიდა და საგარეო მიზნები. შიდა მიზანია სტრუქტურების, მმართველობის, ასევე სწავლების გაუმჯობესება. საგარეო მიზანი კი უკავშირდება ერასმუსის პროგრამას, პარტნიორობის გაფართოებას სხვადასხვა სკოლებთან. ქსელის შექმნის გაუმჯობესებას, აქ, ვენაში, ავსტრიასა და ასევე ევროპაში.

ჩვენი სკოლა მხოლოდ საინჟინრო სამშენებლო სფეროს კი არა, არამედ ზოგადად მშენებლობის ტექნოლოგიას მოიცავს. სამშენებლო მოედანზე პრაქტიკული სწავლების გარდა თეორია შედგება სამი ნაწილისგან: სამშენებლო საინჟინრო საქმე, მშენებლობის ეკონომიკა და მესამე ნაწილი - არქიტექტურა. როგორც დირექტორი, პასუხისმგებელი ვარ 1300 მოსწავლე/სტუდენტზე და დაახლოებით 170 პედაგოგზე, ხოლო მმართველობაში დამატებით, დაახლოებით 20 თანამშრომელი გვყავს. მათ შორის 30-40 არქიტექტორია. მენეჯმენტი წარმოადგენს ჩემი სამუშაოს დიდ ნაწილს. უნდა გამოვავლინო არა მარტო პედაგოგიური, დარგობრივი კომპეტენცია, არამედ მმართველობის სფეროს ცოდნა.

***-თუ არსებობს სტატისტიკა თუ რა როლი შეასრულა სამშენებლო კოლეჯმა ავსტრიის სამშენებლო ინდუსტრიის განვითარებაში?***

- კარგი შეკითხვაა. ჩვენს სკოლას უწოდებენ HTL-უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებელს. ჩვენ საკუთარ თავს კამილიო სიტეს სახელობის სამშენებლო ტექნიკუმს ვეძახით, ეს საკუთარი დასახელება დაკავშირებულია კამილიო სიტეს სახელთან, რომელიც იყო ქალაქის დამგეგმარებელი, არქიტექტორი და ასევე მხატვარი. ის მე-19 საუკუნეში ცხოვრობდა და ჩვენი წინამორბედი სკოლების ერთ-ერთ დამფუძნებლად ითვლება. ჩვენ სასწავლებელს ყოველთვის HTL არ ერქვა, არამედ მისი დასახელება ქალაქის პროფესიული სკოლაც იყო (Stadtgewerbeschule). სკოლა 1875 წლიდან არსებობს, ანუ უკვე საკმაო ხანია, 1880 წლიდან ვენაშიც გაიხსნა და მისგან რამდენიმე სკოლა, მიმართულება განვითარდა. სკოლა ყოველთვის არ იყო წმინდა წყლის სამშენებლო ტექნიკური სკოლა, არამედ ასევე დაკავშირებული იყო მანქანათმშენებლობასთან, თვითმფრინავების ტექნიკასთანაც კი.

მოგვიანებით სკოლა გაიყო და ჩვენი პარტნიორი სკოლა გახდა HTL Wien West ოტაკრინგში.

კურსდამთავრებულებს შეუძლიათ იმუშაონ ტექნიკოსებად, სახელმწიფო უწყებებში, მკვლევარებად. ბევრი კურსდამთავრებული შემდეგ უნივერსიტეტში განაგრძობს სწავლას, მაგალითად ტექნიკურ უნივერსიტეტში ან პროფესიულ უმაღლეს სასწავლებელში, ზოგიერთი ოფისში მუშაობს, ზოგიერთი საკუთარ ფირმას აფუძნებს. მათ შეუძლიათ იმუშაონ მშენებლობის ხელმძღვანელად. ამგვარად, ამოცანები მრავალფეროვანია. ასე რომ, ჩვენს სკოლას შეუძლია ეს ამოცანები შემდგომშიც შესთავაზოს და დაუჭიროს მხარი მათ. შესაბამისად, ყველა ეტაპზე კოლეჯის როლი დიდი იყო ავსტრიის სამშენებლო და არამარტო სამშენებლო სფეროს განვითარებაში.

***- გვიამბეთ საგანმანათლებლო პროგრამებზე და იმ კრიტერიუმებზე, რომლის მიხედვითაც ხდება სასწავლებელში როგორც ავსტრიელი, ასევე უცხოელი სტუდენტების მიღება?***

- სასწავლებელში მთლიანობაში გვაქვს სწავლების განსხვავებული ფორმები.

დღის და საღამოს სწავლება ჩვეულებრივი HTL 14-15 წლის მოსწავლეებისთვისაა. საღამოს სწავლებაზე გაკვეთილი 17 საათიდან იწყება, რაც დღის განმავლობაში მოსწავლეს აძლევს მუშაობის შესაძლებლობას.

შემდეგი პროგრამაა: პროფესიული სკოლა, რომელშიც სწავლობენ არასრული საშუალო სკოლის ან ქვედა საფეხურის კურსდამთავრებულები.

შემდეგ გვაქვს ძალიან მნიშვნელოვანი მიმართულება: განმავითარებელი სასწავლო კურსი, სადაც სწავლას აგრძელებენ პროფესიული სკოლის კურსდამთავრებულები დამატებით 2-2,5 წელი. პროფესიული სკოლის დამთავრების შემდეგ შესაძლებელია სიმწიფის ატესტატის მიღება.

რაც შეეხება კოლეჯში სწავლებას. აუცილებელი წინაპირობაა, რომ მოსწავლეებს უკვე უნდა ჰქონდეთ სიმწიფის ატესტატი. თუ ისინი არ არიან ავსტრიიდან ან გერმანიიდან, საჭიროა წარმოადგინონ მსგავსი დამამთავრებელი დოკუმენტი. გარდა ატესტატისა, შესაძლებლობა აქვთ ჩააბარონ ბაკალავრის ხარისხის მქონე არქიტექტორებს.

რაც შეეხება ასაკს, განსაზღვრულია 17+, ე.ი. ისინი შეიძლება იყვნენ 18, 19, 20 და ა.შ. წლის. არიან ადამიანები, რომლებიც ამას შედარებით გვიან აკეთებენ, 60 წლისაც შეიძლება იყოს ადამიანი, ანუ 18-დან 60 წლამდე შესაძლებელია სწავლა. არსებობს ასევე წინაპირობა, რაც ეხება გერმანული ენის ცოდნას. უცხო ქვეყნის მოსწავლეებმა უნდა წარმოადგინონ B2 დონის დამადასტურებელი სერთიფიკატი.



***- რამდენად შეესაბამება უცხოური ატესტატი ავსტრიულ ატესტატს?***

- სიმწიფის ატესტატის ასაღებად ავსტრიაში მინიმუმ 12 წელი უნდა ისწავლო. არ ვიცი საქართველოში რა ჰქვია ამ გამოცდას, მაგრამ ვვარაუდობ, რომ საშუალო სკოლის დასრულების შემდეგ მოსწავლეები აბარებენ მსგავს გამოცდას და იღებენ სიმწიფის ატესტატს, რაც დაახლოებით ავსტრიაში არსებული სიმწიფის ატესტატის (Matura) შესატყვისია. არასრული საშუალო სკოლა ავსტრიაში გრძელდება 8 წელი. ასეთი სკოლის კურსდამთავრებულებს შეუძლიათ მხოლოდ პროფესიულ სკოლაში გადასვლა, ან HTL-ს დღის სასწავლო კურსზე, მაგრამ ეს ვერ იქნება კოლეჯში სწავლის წინაპირობა.

უნდა აღინიშნოს, რომ საკუთარი სამეცნიერო-კვლევითი განყოფილებაც გვაქვს, რომელიც მიწის სინჯებს იკვლევს და პროექტებს აკეთებს კერძო ეკონომიკისთვის. გვაქვს ასევე ორი პროექტი, რომლის ფარგლებშიც თიხაზე მუშაობენ. აქ საუბარია თიხის ბათქაშ-




ზე, ან თიხაზე, რომელიც არაა განახლებადი, არამედ ისეთი სამშენებლო მასალაა, რომელიც უფრო დიდხანს იქნება ხელმისაწვდომი და სხვა ეკოლოგიური ანაბეჭდი აქვს, ვიდრე ფოსილურ სამშენებლო მასალებს.

***- კოლეჯში სწავლა რამდენი წელი გრძელდება?***

- კოლეჯის დამთავრებისთვის საჭიროა ხუთი სასწავლო წელი ისწავლო... ცოტა რთული სისტემაა.

***- სხვადასხვა თაობას განსხვავებული გამოწვევების წინაშე დგას. რას მიიჩნევთ დღევანდელი თაობის უპირველეს გამოწვევად და რამდენად გადამწყვეტია ამ გამოწვევის დაძლევა?***

- ამჟამად ბევრი გამოწვევაა, რომელთა წინაშეც ვდგავართ, ან დადგებიან მომავალი თაობები. ერთ-ერთია კლიმატის ცვლილება, რომელზეც ბევრს წერენ მასმედიის საშუალებები. კლიმატის ცლილება მშენებლობის სფეროსთვის დიდ ცვლილებას ნიშნავს. ასევე უმნიშვნელოვანესია გუნდურობის უნარი. სამშენებლო სფეროში, მუდმივი ცვლილებებისთვის სოციალურ ასპექტს მივიჩნევ დიდ გამოწვევად. რას ვგულისხმობ? ერთ-ერთ მაგალითად შემიძლია მოვიყვანო თანამედროვე ციფრული კომპეტენციების, მიმართულებების განვითარება. არსებობს BIM – Building Information Modeling, ეს მეთოდი არ ითვალისწინებს ხელით ხატვას, რაც სწავლების შემადგენელ ნაწილს კი წარმოადგენს, მაგრამ პრაქტიკაში აღარ გამოიყენება, აღარც 2D-მოდელში ხაზვაა (ხატვა) გათვალისწინებული, არამედ 3D-მოდელში და ინფორმაციის გაცვლა სხვა საწარმოებთან, მშენებელ-ინჟინრებთან, სამშენებლო ფირმებთან და ა.შ. აი, ამას წარმოადგენს BIM. ეს არის სწორედ ის ციფრული კომპეტენციები, რომლებიც მომავალში დიდი გამოწვევა იქნება.

Verschiedene Generationen stehen vor unterschedlichen Herausforderungen. Was halten Sie für die wichtigste Herausforderung für die heutige Generation und wie entscheidend ist es, mit dieser Herausforderung zurechtzukommen?

Es gibt heutzutage viele Herausforderungen, die auf uns oder auf die nächsten Generationen zukommen und eine davon ist der Klimawandel, worüber viel in den Medien berichtet wird. Der Klimawandel bedeutet auch für die Baubranche einen großen Wechsel, Die Teamfähigkeit ist sehr wichtig. Den sozialen Aspekt halte ich für eine große Herausforderung für die ständigen Änderungen in der Baubranche. Was meine ich damit? Ein Beispiel möchte ich anführen, dass auch die digitalen Kompetenzen sich weiterentwickeln müssen. Es gibt BIM – Building Information Modeling, es geht hier nicht nur um Zeichnen mit der Hand, das ist in der Ausbildung zwar ein Teil, aber nicht mehr in der Praxis, es wird auch nicht mehr 2D am

Bauingenieuren, Baufirmen usw. geführt. Und das ist dann BIM. Das sind diese digitalen Kompetenzen, die in der Zukunft eine große Herausforderung sein werden.

***-ყურადღებას ვადევნებდი კოლეჯის ყოველდღიურ საქმიანობას და შევამჩნიე, რომ სტუდენტები ჩართულნი არიან სხვადასხვა კულტურულ საქმიანობაში. ეს ფაქტი სასიამოვნოცაა და საინტერესოც. თუ არ ვცდები სასწავლებელში სათეატრო დასიც არსებობს?***

- თეატრალურ დასს და სცენას გულისხმობთ, არა? ჩვენ აქ ბევრ დღესასწაულს ვატარებთ ხოლმე, დიდ სასკოლო დღესასწაულს ზაფხულში, საშობაო ზეიმს და აღდგომასაც აღვნიშნავთ. ჩვენ ასევე ე.წ. ბარბარას დღესასწაულს ვზეიმობთ. ბარბარა არქიტექტორებისა და მეშახტეების მფარველი ანგელოზია. მისი დღე 4 დეკემბერს აღინიშნება. ბევრი ზეიმი გვაქვს, რომლებზეც სკოლის ბენდი და ჩვენი საკუთარი გუნდი გამოდის, უკრავს და მღერის. ადრე თეატრალური დასიც გვქონდა და ყოველთვის იდგმებოდა პიესები, მაგრამ სამწუხაროდ ბევრი პროფესორი გავიდა პენსიაზე და დასმაც შეწყვიტა არსებობა. სამწუხაროდ ამ ეტაპზე ვერ მოხერხდა მისი არსებობის გაგრძელება...

***- და ბოლოს გკითხავთ. რა იცით საქართველოს შესახებ?...***

- საქართველოს შესახებ რა ვიცი? კარგი შეკითხვაა. საქართველო მდებარეობს კავკასიონთან, შავ და კასპიის ზღვებს შორის. დედაქალაქი თბილისია, საქართველოში ძირითადი ენა ქართულია, მაგრამ უმცირესობებიც არსებობენ. წარსულში სამწუხაროდ კონფლიქტები მოხდა. ჩვენთვის ცნობილია კონფლიქტი აფხაზეთის რეგიონთან და ოსეთთან. ძალიან სამწუხაროა, რომ მათთან პრობლემები წარმოიქმნა. მეზობელი ქვეყნებია ჩრდილოეთში რუსეთი, სამხრეთით აზერბაიჯანი, მეორე მხარეს უკვე ირანია? არა, თურქეთი. ესენია მეზობელი ქვეყნები, საქართველო ასევე ცნობილია თავისი ღვინით, არსებობს ლეგენდა ღვინის წარმოშობის შესახებ, რომ ის საქართველოდანაა. ვიცნობ ამ ისტორიას. არსებობს კიდევ ერთი ლეგენდა, რომლის მიხედვითაც საქართველო ედემის ბაღი იყო, სამოთხე ბიბლიიდან. ესაა ისტორია. გარდა ამისა, მოსმენილი მაქვს ქართული მუსიკა, რაც ძალიან საინტერესოა და ნანახი მაქვს ქართული სამოსი, ფაფახი (ბეწვის ქუდი) და ჩოხა, რითაც ზოგადად კავკასიაა ძალიან ცნობილი. ძალიან საინტერესოდ მიმაჩნია ყველაფერი ეს.

-კიდევ ერთხელ ულრმესი მადლობა მასპინძლობისთვის. გისურვებთ წარმატებას და თქვენი მიზნების განხორციელებას. გემშვიდობებით და იმედია საქართველოში შევხვდებით...

ბატონ ქრისტოფერთან დამშვიდობებისას, კიდევ ერთხელ შევავლე თვალი შენობის მთავარ შესასვლელთნ კოლეჯის კიდევ ერთი სავიზიტო ბარათს - აუდიტორიებისკენ მიმავალი კიბის საფეხურებზე სხვადასხვა ენაზე შესრულებული მისასალმებებლი სიტყვებია განთავსებული, რაც ცალსახად მიუთითებს კოლეჯის პოლიტიკაზე, იყოს ხელგაშლილი სხვადასხვა ეროვნების ადამიანებისთვის.



იმედი მაქვს, რომ მომავალში კიბის საფეხურებზე ახალი წარწერა გაჩნდება ქართულ ენაზე - კეთილი იყოს თქვენი მობრძანება და ეს იქნება ქართულ-ავსტრიული ურთიერთობის ახალი ფურცელი.

Beim Abschied vom Herrn Müller warf ich noch einmal den Blick auf noch eine Visitenkarte des Bautechnikums. Auf den Treppenstufen, die zu den Hörsälen führen, stehen die Begrüßungen in verschiedenen Sprachen, was eindeutig auf die Politik des Bautechnikus deutet, dass man tollerant und offen gegenüber den Menschen verschiedener Nationalitäten sein sollte.

Ich hoffe, dass in der Zukunft auf der Treppenstufe eine neue Aufschrift auf Georgisch erscheint - კეთილი იყოს თქვენი მობრძანება und das wird zu einem neuen Blatt der Georgisch-Österreichischen Beziehungen.

*გერმანულ ტექსტზე*
*იმუშავა მთარგმნელმა ნათია*
*დათუაშვილმა*



*ბატონი ვოლფგანგი სტუდენტებთან ერთად პრაქტიკული მეცადინეობის შესრულების დროს*









*Visiting in 1926, Le Corbusier here driving a Fiat Balilla Declare that : „certainly one of the most impressive shows the industry has ever offered“.*

# ლინგოტო

ფიატის საავტომობილო ქარხანა ლინგოტო- Lingotto მდებარეობს იტალიაში, ქალაქ ტურინში. 1916 წელს ფიატის საავტომობილო კომპანიის დამფუძნებელმა, სენატორმა ჯოვანი ანიელიმ ახალგაზრდა არქიტექტორს ჯაკომო მატტე-ტრუკოს დაუკვეთა საავტომობილო ქარხნის პროექტი. მშენებლობა 1923 წელს დასრულდა.

შენობა წარმოადგენს 500 მ. სიგრძის 5 სართულიან რკინაბეტონის კონსტრუქციას. შენობის პროექტი საინტერესოა იმით, რომ ავტომობილების წარმოების ციკლი იწყება მიწის სართულიდან, სადაც ავტომობილის ასაწყობი ნედლი პროდუქცია შედის. მანქანები იწყობა და სპირალისებრი პანდუსების გავლით, რომლებიც მდებარეობს შენობის ჩრდილოეთით და სამხრეთით, ადის ზევით. აწყობილი მანქანა შენობის სახურავზე 1,5 კმ-იანი ოვალური ფორმის სატესტო ტრასაზე გადის შემოწმებას.

1934 წელს ლე კორბუზიე ეწვია ტურინის ლინგოტოს და აღფრთოვანებულმა აღნიშნა: „ლინგოტოს შენობა ერთერთი ყველაზე შთამბეჭდავი სანახაობაა ინდუსტრიულ დარგში და ქალაქთგეგმარების სახელმძღვანელო“.

ლინგოტო იმ დროისთვის ყველაზე დიდი საავტომობილო ქარხანა იყო მსოფლიოში, სადაც აწყობილია ფიატის 80 სხვადასხვა მოდელი.

1943 წელს შენობა დაიბომბა, მაგრამ კონსტრუქციამ გაუძლო დანგრევას.

1970-იანი წლებისთვის ტურინის ლინგოტოს ქარხანამ დაკარგა ფუნქცია, რადგან მირაფიორაში უფრო დიდი და თანამედროვე ქარხანა უფრო მეტი ავტომობილის წარმოებას უზრუნველყოფდა. 1982 წელს ქარხანა საბოლოოდ დაიხურა.

გამოცხადდა არქიტექტურული კონკურსი ლინგოტოს ახალი სიცოცხლისთვის. კონკურსში გაიმარჯვა იტალიელმა არქიტექტორმა რენცო პიანომ. მისი პროექტით ქალაქისთვის ახალი საზოგადოებრივი დანიშნულების სივრცე შეიქმნა.





ფიატის ქარხნის ისტორიულ ინდუსტრიულ შენობას- ლინგოტოს რეკონსტრუქცია ჩაუტარდა 1983-2003 წლებში. საავტომობილო ქარხანა მრავალფუნქციურ, თანამედროვე შენობად გადააკეთა, სადაც განთავსდა: სავაჭრო ცენტრი, სასტუმრო, საკონცერტო დარბაზი, თეატრი, საკონფერენციო დარბაზი, გამწვანებული შიდა ეზო და ტურინის პოლიტექნიკური უნივერსიტეტის საავტომობილო ინჟინერიის ფაკულტეტი. სახურავზე ავტომობილების ტესტირების ტრასა შენარჩუნდა, დღესაც შესაძლებელია მისი ნახვა სავაჭრო ცენტრის სახურავზე.

ლინგოტოს სახურავზე რენცო პიანომ წრიული ფორმის საკონფერენციო დარბაზი და მართხკუთხა ფორმის გალერეა განათავსა. წრიული ფორმის საკონფერენციო დარბაზი ვერტმფრენის პლატფორმასთან არის ახლოს. მართხკუთხა ფორმის გალერეაში კი ანიელის პინაკოტეკაა, სადაც მუდმივ კოლექციაში დაცულია მანეს, პიკასოს, მატისის, რენუარის და მოდილიანის შედევრები.

ეს ორი მოცულობა ძველი ფიატის ქარხნის სახურავზე შთამბეჭდავია და ტურინისთვის ახალი ინოვაციის სიმბოლოდ იქცა.



***სოფიო გაბადაძე,***
***ხელოვნებათმცოდნე***



# LINGOTTO



Renzo Piano

Construction of the complex started in 1916 and it was inaugurated in 1923. The design by the young architect Giacomo Matté-Trucco, was unusual in that it had five floors, with raw materials going in at the ground floor, and cars built on a line that went up through the building. Finished cars emerged at rooftop level to go onto the 1.5km long[1] test track.  It was the largest car factory in the world at that time. For its time, the Lingotto building was avant-garde, influential and impressive—Le Corbusier called it "one of the most impressive sights in industry", and "a guideline for town planning".

By the late 1970s, the factory had become obsolete — having been superseded by the larger and more advanced Fiat Mirafiori factory — and a decision was made to finally close it in 1982. The closure of the plant led to much public debate about its future, and how to recover from industrial decline in general. An architectural competition was held, which was eventually awarded to Renzo Piano, who envisioned an exciting public space for the city. The old factory was restored into a modern complex, with concert halls, theatre, a





convention centre, shopping arcades and a hotel. The eastern portion of the building is the headquarters of the Automotive Engineering faculty of the Polytechnic University of Turin. The work was completed in 1989. The track was retained, and can still be visited today on the top floor of the shopping mall and hotel.

***Sophio Gabadadze,***
***Art critic***



*Sketches by Renzo Piano for Lingotto*









# BIRDSNEST HOUSE

TIMM Architecture has transformed an old attic into a bright contemporary apartment, offering vistas of the historic town on one side and framing the majestic mountain on the other. The interior scenography is characterized by a pristine white palette, which guides visitors towards the focal point: a wooden-clad dining area that serves as a visual frame to the outside world.









Main Information
Project Name: Wood and white apartment
Office Name: TIMM Architecture
Office Website: www.timmarchitecture.com
Social Media Accounts: https://www.instagram.com/timmarchitecture/
Contact email: info@timmarchitecture.com

Firm Location: Tbilisi, Georgia
Completion Year: 2024

Gross Built Area ($m^2$/ $ft^2$): 123 $m^2$
Project Location: Tbilisi, Georgia
Program / Use / Building Function: Apartment interior design

Lead Architects: Nikoloz Lekveishvili
Lead Architects e-mail: nikoloz@timmarchitecture.com
Interior Designer: Irina Karlikova

Photo Credits: Grigori Sokolinsky





Located in the Mtatsminda district, a historic area of Tbilisi near the lower station of the funicular, this attic occupies the space above a 19th-century historical building. The owner of the attic is a descendant of one of the original residents of the house, showing particular personal care and interest in the construction details that narrate the story of the building's evolution and the surrounding area.







Inspired by the picturesque vistas from the attic, reminiscent of the evocative artwork of renowned Georgian painter Elene Akhvlediani, the apartment's design concept revolves around three distinct atmospheric zones: the entry, the living room, and the dining room.

A key design challenge was seamlessly integrating the staircase leading to the living area. This was resolved with a suspended perforated steel wall, visually inviting guests to ascend while maintaining a sense of openness and transparency.















The living room in the 21st century serves as a secondary space for casual recreation rather than the primary living area, as was typical in the 20th century. Therefore, it has been deliberately designed to be as neutral as possible, emphasizing the framing of the dining area.

The dining area represents the core space of the apartment, showcasing exquisite wood craftsmanship in both the finishes and the bespoke furniture, such as the custom-designed table by TIMM.

The window, framing the sweeping panoramic view, is artfully treated to evoke the essence of a painting, while a heated seating area below cultivates a warm and inviting atmosphere, embodying the Scandinavian concept of "Hygge."





# ინტელექტუალურობის კრედო



*ციცი ბოხუა, დავით ვაშაკიძე*

ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი
მდებარეობა: თბილისი, დიღმის ქ.# 7
საერთო ფართი: 1000 კვ. მ
ავტორები: არქიტექტურა: დავით ვაშაკიძე
და დავით ლაშხი
ინტერიერის დიზაინი: ციცი ბოხუა

საცხოვრებელი სახლის მოცულობითი კომპოზიცია მასისა და სივრცის ურთიერთობით ხასიათდება. ფორმაწარმომქმნელ საწყისს გახსნილი, თვითმყოფადი ცოცხალი მასა წარმოადგენს. სივრცე კი კომპოზიციურად ექვემდებარება მას. ორდონიანი შენობა გახსნილია ხედით გარე სივრცეზე. ავტორები ფორმების პლასტიკური სახესხვაობით - ადამიანისათვის განსაზღვრულ, ემოციურად დატვირთულ გარემოს შექმნას ანიჭებენ უპირატესობას. საცხოვრებელი სახლის არქიტექტონიკა პლასტიკურად ვითარდება. ყოველი ამოცანა კომპოზიციური ხერხითაა გადაწყვეტილი და ამგვარი პრინციპის შენარჩუნებით მოცულობის სტრუქტურა ფორმათა მრავალფეროვნებით იქმნება. ამ სინქრონში თანამედროვე არქიტექტურული დეკორის ყოველი ფრაგმენტი მნიშვნელოვან დატვირთვას იღებს.

საცხოვრებლის ერთიანი სივრცის ატმოსფერო სასიამოვნო ურთიერთობებისათვის განგვაწყობს. არაორდინალური არქიტექტონიკური ნიუანსებით შექმნილ ინტერიერს, ცალკეული, განსაკუთრებული ხიბლის მატარებელ მონაკვეთთა ერთობლიობა ქმნის. უზადო დიზაინი გულისხმობს საერთო იდეითა და თემით გამთლიანებული ჰარმონიული ინტერიერული სახეების შექმნას, რომელშიც დეტალურადაა გათვლილი ყველა ნიუანსი და ვლინდება ავტორის ინდივიდუალურობა.ინტერიერის შემადგენელი ყოველი მონაკვეთი თავისთავად ეფექტურია. სხვადასხვა რაკურსში განხილვისას, მათი ლავირება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს და საგანთა უტილიტარულ დანიშნულებებს აღემატება.

მთლიანობაში, ინტერიერი თავისუფალი და გამომგონებლურობას აბსოლუტურად მოკლებულია, განსაკუთრებული ემოციური დატვირთვით აღიქმება და სრულად შეესაბამება მობინადრეთა მოთხოვნებს, გემოვნებას, ცხოვრების ესთეტიკას.

**ფოტორაფი: რაფო არზუმანოვი**















# THE INTELLECTUALISM CREDO



Individual residential house
Location: Tbilisi, Digomi St. # 7
Total area: 1000 sq. M
Authors: Architecture: Davit Vashakidze
and Davit Lashkhi
Interior design: Tsitsi Bokhua

The volumetric composition of a residential house is characterized by the relationship between mass and space. An open, self-contained living mass represents the form-creating beginning. And the space is subject to it compositionally. The two-level building is open with a view to the outer space. The authors give preference to the plastic variety of forms - the creation of a defined, emotionally charged environment for people. The architecture of the residential house develops plastically. Each task is solved in a compositional way, and by maintaining this principle, the structure of the volume is created with a variety of forms. In this synchronicity, every fragment of the modern architectural decor receives a significant load.

The special atmosphere of the single living space will prepare us for pleasant relationships. The interior created with unusual architectural nuances is created by a combination of separate, special charm sections. Flawless design involves the creation of harmonious interior faces with a common idea and theme, in which every nuance is calculated in detail and the individuality of the author is revealed. Every part of the interior is individual and effective in itself. When viewed from different angles, their manipulation acquires a special meaning and exceeds the utilitarian purposes of objects.

As a whole, the interior is completely devoid of free and ingenuity, it is perceived with a special emotional load and fully corresponds to the requirements, taste, and aesthetics of life of the residents.

PHOTOS BY RAFO ARZUMANOV









# საცხოვრებელი სახლი დიდ დიღომში

მდებარეობა: თბილისი
საერთო ფართი 600კვ.მ
ავტორი: ოთარ თუხარელი

არქიტექტორმა, პროფესიონალიზმზე დაყრდნობით, მკაფიო არქიტექტურული გრაფიკით, ფორმა-მოცულობების ორიგინალური მონაცვლეობით თავისუფალი სტილის, თანამედროვე მოცულობა შექმნა. იგი გახსნილია გარე სივრცესთან და მიკრო ლანდშაფტთან გრაფიკულ მთლიანობას ქმნის. საცხოვრებელ სივრცეში მოულოდნელ დიზაინერულ შტრიხებს, სიმსუბუქე შეაქვთ და მოსახერხებელ გეგმარებას ქმნიან. თავისუფალი ატმოსფეროს შექმნის იდეას სივრცის ყოველი ელემენტი ექვემდებარება. კონსტრუქციული თუ დეკორატიული დეტალების ერთობლიობა სამ დონეზე განთავსებულ ინტერიერს ვიზუალურად ზრდის, რასაც ასევე მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ფერთა სიღრმე თუ ინტენსიობა.



ავტორის ძალისხმევით, საცხოვრებელში აუცილებელი სიმყუდროვე და კომფორტი შეიქმნა, რაც შესაბამისი ინტელექტუალურ-ურბანული მდგომარეობის ბუნებრივი ხორცშესხმაა.











# RESIDENTIAL HOUSE IN DIDI DIGHOMI



Location: Tbilisi
The total area is 600 sq.m
Author: Otar Tukhareli

The architect created a modern exterior space with clear-cut architectural graphics, original choice of forms and contrasting colors. The style of the building – modernism design.

Unexpected design touches add lightness and comfort to the residential space. Stylistic integrity of the interior does not subdue individuality and functionality of constituent parts; on the contrary, their diversity leaves the impression of weightlessness. All elements of the space contribute to the general feeling of freedom. A diverse palette of constructional and decorative details is applied to visually increase the interior. The author have succeeded in designing a highly comfortable space, standing as a proof to refined taste and urban thinking.





# თეთრი ფერის გრადაცია



საცხოვრებელი ბინა ჭავჭავაძის გამზირზე
მდებარეობა: თბილისი
საერთო ფართი: 112 კვ.მ
პროექტის ავტორი: რუსა თუმანიშვილი/
ინტერიერის დიზაინერი.
კომპანია: ვოლ დიზაინ სტუდიო
ფოტო: Mike Makarenko

ბინა განკუთვნილია ოთხწევრიანი ოჯახისთვის და საპროექტო დავალება იყო ფართის ფუნქციურად გადანაწილება ისე, რომ იგი მაქსიმალურად ათვისებულიყო. საცხოვრებელი ბინა მოიცავს ორ საძილე ოთახს, ერთ სველ წერტილს, დამხმარე ოთახს და



სტუდიოს. მთავარ საძინებელთან არის საგარდერობე ოთახი. სივრცეში გამოყენებულია თეთრი ფერის რამდენიმე გრადაცია.

გამოყებენული ბრენდები: Foscarini, Bontempi, Wall&deco, Vibia, Iris diesel, Duravit, The Wall-სარკე, ყავის მაგიდა.







ინტერიერის სტილის შექმნისას, ხაზგასმულია მისთვის დამახასიათებელი თავისებურებანი - ფერითი პალიტრა, ავეჯი, აქსესუარები, დეკორატიული ელემენტები. ინტერიერის სტილისტური გადაწყვეტისას ძირითადი და მნიშვნელოვანი ფერია. თეთრი ფერის ჰარმონიული გრადაცია მყუდრო, კომფორტულ ატმოსფეროს ქმნის, ნებისმიერ საგანს ოპტიმალურ ფონს აძლევს და მის მოხაზულობას აკონკრეტებს, ეს კი, მნიშვნელოვანია მაშინ, როდესაც ინტერიერი დეტალების მინიმალურ რაოდენობას მოიცავს. ინტერიერის სტილისტურ „სისუფთავეს“ სივრცის „გეომეტრია“ - ხაზების, კუთხეების, პარალელების, სიმრუდეების და მათი რიტმის მელოდიური მონაცვლეობა განსაზღვრავს. ინტერიერის შემადგენელი ყოველი ნაწილი ინდივიდუალური და თავისთავად ეფექტურია.



# WHITE COLOR GRADATION

Residential apartment on Chavchavadze Ave
Location: Tbilisi
Total area: 112 sq.m
Author of the project: Rusa Tumanishvili/interior designer.
Company: Wall Design Studio
Photo: Mike Makarenko



The apartment is intended for a family of four, and the design task was to functionally distribute the space in such a way as to make the most of it. The space includes two bedrooms, one bathroom, a utility room and a studio. The master bedroom also has a walk in wardrobe. Several gradations of white color are used in the space.

The following brands were selected: Foscarini, Bontempi, Wall&deco, Vibia, Iris diesel, Duravit, The Wall - mirror, coffee table.

Every particular interior style has its highlights: relevant choice of furniture, accessories. One of the central tools of interior style generation is white color . Harmonious coloring









contributes to creation of comfortable atmosphere and accentuates the efficiency of decorative interior articles - this is equally important when the interior the quantity of decorative details is reduced to minimum.

Stylistic „purity" of the interior is reached by the „geometry" of space - balanced sequence of lines, corners, parallels, curves and rhythms. Stylistically refined space is an optimal setting for any object or detail. Every component of the interior stands out as individual and efficient.









# ოქროსფერის ესთეტიკა



საცხოვრებელი ბინა
ადგილმდებარეობა: თბილისი, თამარ მეფის გამზირი, „კინგ დევიდის რეზიდენსი“
საერთო ფართი: 100 კვ.მ
ავტორი: მაია წერეთელი

საცხოვრებლში ინტერიერული სივრცისადმი დამახასიათებელი მოძრაობა ცოცხალია და მოვლენის ადექვატურად გააზრებასა და აღქმასთან შედარებით, მეტის მომცველია. აქ, ამ ოქროსფერ გარემოში საოცარი წონასწორობაა სიმშვიდესა და მოძრაობას, დახვეწილ ფორმება და შექმნილ სილუეტებს შორის და უფრო მეტია თავისუფალი ტიპის შემოქმედების შედეგი. მოდულური კომპოზიცია და დიზაინერული ელემენტების პროპორციები თავისუფალია. მას საფუძვლად პროფესიონალური კრიტერიუმები უდევს. ინტერიერში გეგმარება, დიზაინი, მოცულობითი კომპოზიციები ფუნქციონალურ-ესთეტიკური ხასიათის მატარებელია და თვითმყოფადია. მთლიან თუ განყენებულ ფორმებში და ფერში ნაგრძნობი სივრცე განუსაზღვრელ მრავალფეროვნებას იძლევა და ამით თვითგამოვლენის სრულ ჰარმონიას სთავაზობს მნახველს.

***ფოტოგრაფი:***
***რაფო არზუმანოვი***









# AESTHETICS OF GOLDEN COLOR

Apartment
Location: Tbilisi, King Tamar Avenue,
King David Residence
Total area: 100 sq.m
Author: Maya Tsereteli

The movement characteristic of the interior space of the dwelling is alive and encompasses more than the adequate understanding and perception of the event. Here, in this golden environment, there is a wonderful balance between stillness and movement, refined shapes and crafted silhouettes, and more the result of free-form creativity. Modular composition and proportions of design elements are free. It is based on professional criteria. Planning, design, volumetric compositions in the interior are of a functional-aesthetic character and are independent. Perceived as a whole or in different forms and colors, the space provides an unlimited variety and thus offers the viewer a complete harmony of self-expression.

***Photo by: Rafo Arzumanov***













# ფუნქციონალიზმის ილუზორული სიმარტივე



პროექტის დასახელება: ბიბლიოთეკა სამედიცინო კამპუსისათვის
საერთო ფართი: 405 კვ.მ
დამკვეთი: ევროპის უნივერსიტეტი
წელი: 2023
სამუშაოები: ინტერიერის დიზაინი
დიზაინერი: მარიტა ჭანჭალეიშვილი
პროექტი: არქიტექტურული სტუდია „ქომ ჰაივ“
ფოტო: გრიგორი სოკოლინსკი

დიზაინერის, მარიტა ჭანჭალეიშვილის მიერ ორიგინალური გადაწყვეტითა და საინტერესო მიგნებებით კომფორტული, ესთეტიკურად თვითმყოფადი საზოგადოებრივი სივრცე წარმოიქმნა, სადაც ყოველივე მხოლოდ კომფორტისთვის და სარგებლობისთვისაა შექმნილი. სივრცის თითოეული მონაკვეთი დამოუკიდებელი და სრულყოფადია. ფურნიტურა საერთო ასოციაციების სისტემაშია ჩართული. გეომეტრიული ჭრილები გარემოს მეტად გამომხატველობითს ხდის. იდეის გარეგნული მოჩვენებითი



სიმარტივე გააზრებულ ფუნქციონალიზმთანაა შერწყმული. ამგვარად იქმნება ექსკლუზიური დიზაინი, რაც ძალზედ მოსახერხებელია სივრცის შემდგომი გარდასახვისათვის. იგი პრაქტიკულად, ავტორის მიერ შექმნილ, ნებისმიერ ნიუანსს ითვისებს, რომელიც განსაზღვრული ადგილის დაკავებით ინტერიერს დასრულებულ სახეს აძლევს.









# THE ILLUSORY SIMPLICITY OF FUNCTIONALISM

This public interior in Tbilisi was designed by the designer Marita chanchaleishvili. The beauty of this designs exceeds aesthetic perception, developing on different planes and breathing a life of its own. Diversity of this beautiful, well-organized space and top quality of its refined forms are merged into a credible organism. accessories, proportions, mobile





graphics - their integrity naturally forms unordinary spaces devoid of excess sophistication. The distinguishing traits of their design are flexibility, originality and elegance.

Seeming simplicity of the concept is merged with functionality and comfort, allowing further creation of a unique working atmosphere.

Project Name: Library for Medical Campus
Total area: 405 sq.m
Client: European University
Year: 2023
Jobs: interior design
Designer: Marita Tchantchaleishvili
Project: Architectural studio KOM Hive
Photo: Grigory Sokolinski








# დეკორის და ავეჯის შოურუმ-სტუდია



მდებარეობა: ასტანა, ბ.მომიშულის გამზირი
საერთო ფართი: 65,65 კვ.მ.
დამფუძნებელი: ქალი არქიტექტორ-დიზაინერი
კომპანიის სტილი: შავი - თეთრი
დიზაინის ავტორი: ბოგატოზ აბელდინოვა

შოურუმი-სტუდია აწარმოებს ინტერიერისთვის ავეჯს, დეკორს, ნახატებს, შესაბამისად შოურუმში წარმოდგენილია ფურნიტურა საძინებლისთვის, მისაღები და სამზარეულო სივრცისთვის, დეკორი, ტექსტილი, განათების ნივთები, ფერწერა.

**ავტორისგან:** ჩვენი ამოცანა იყო, ერთ პატარა სივრცეში მოგვეთავსებინა ჰოლი, საძინებელი, მისაღები ოთახი, სასადილო, სამუშაო კუთხე და სალარო აპარატები, ხოლო ვრცელი ადგილი დაგვეთმო შოურუმის პარადული სივრცისთვის - დამთვარიელებლებისთვის თუ სტუმრებისთვის, რომ შოურუმის ვრცელ, პრეზენტაბელურ გარემოს ზემოქმედება მოეხდინა მყიდველზე, თავისი სახლისთვის განესაზღვრა სტილი, შეეძინა ლამაზი ნივთები და შეექმნა კომფორტი. შოურუმის პროდუქცია, ფერადი აქცენტები და განათების ნივთები გამოყენებული იქნა ზონების გამყოფად.

ფართის სიმცირის გამო, ინტერიერის აღჭურვა პროდუქციის შესანახი დამხმარე სათავსოებით, ვერ მოხერხდა, მაგრამ ჩვენ დავაპროექტეთ ერთმეტრიანი სიღრმის მაგიდა-რესეპშენი, რომელიც წარმოადგენს მინი საწყობს და ასევე, დიზაინერისთვის სამუშაო ზედაპირს. დამატებითი შესანახი ადგილებისთვის, ჩვენს მიერ დაპროექტებული იქნა დაკიდული თაროები სასტუმრო ზონაში.

შოურუმში ძირითადი განათების გარდა, გამოყენებული იყო გასაყიდად წარმოდგენილი განათების ნივთები და მოწყობილობები. ასეთმა გადაწყვეტამ, არა მხოლოდ სივრცის დაზოგვისა და მის შემდგომი ზონირების საშუალება მოგვცა, არამედ შევქმენით აქცენტები გასაყიდ პროდუქციაზე და მათ ერთმანეთთან კომბინაციაზე.














# DECOR AND FURNITURE SHOWROOM-STUDIO



Location: B. Momishuly Avenue, Astana
Total area: 65.65 sq.m.
Founder: female architect-designer
Company style: black - white
Design author: Bogatoz Abeldinova

The showroom-studio produces interior furniture, decor, paintings, therefore the showroom presents furniture for the bedroom, living room and kitchen space, decor, textiles, lighting items, paintings.

From the author: Our task was to accommodate a hall, bedroom, living room, dining room, work area and cash registers in one small space, while leaving ample room for showroom space - for patrons and guests. Because the spacious, presentable environment of the showroom had to impress the buyer, the buyer had to define the style, buy beautiful things and create comfort for his home here. Showroom products, color accents and lighting items were used to separate the zones.

Due to the lack of space, it was not possible to equip the interior with auxiliary storage units for storing products, but we designed a one-meter-deep desk-reception, which is a mini-warehouse and also a designer's work surface. For additional storage spaces, we designed hanging shelves in the guest area.

In addition to the main lighting, the lighting items and devices presented for sale were used in the design of the showroom. Such a solution not only allowed us to save space and further zoning it, but also created emphasis on products for sale and their combination with each other.

















# INTERNATIONAL COMPETITION

On May 24, 2024, the annual international professional award in interior design "KUKHA DESIGN AWARD 2024" was held in Minsk (Belarus).

The award brought together the best architects, designers and decorators.

The participants of the international competition from different countries were talented, initiative, ambitious and creative people who are constantly developing in design and trying to change the world for the better.

The works were evaluated by an international jury. We, on behalf of the Association of Architects of Georgia, are very grateful to the organizers of the competition for inviting us to be members of the competition jury at this wonderful event. It should be noted that we got acquainted with the extraordinary works presented in the competition and had great pleasure while discussing them.

We hope that our mutual cooperation will continue and cover larger scales.

The works were presented in the following nominations:

1. NOMINATION: REALIZED INTERIOR
- Completed apartment interior up to 50 sq.m.
- Completed apartment interior from 50 sq.m.
- Completed interior of a residential building
- Completed interior: interior decoration and styling
- Completed public interior (cafes, restaurants, bars)

# AWARD CEREMONY

KUKHA
DESIGN AWARD

Implemented public interior (offices, salons, shops and other public spaces).

2. NOMINATION: INTERIOR CONCEPT(ბოლდით)
- Apartment interior design
- Residential building interior design
- Interior decoration and styling
- Public interior concept

3. NOMINATION: ARCHITECTURE (ბოლდით)
- Completed project of an individual residential building
- Completed public building project


















- Individual residential building project
- Public building project

4. NOMINATION: DEBUT OF THE YEAR

- Realized residential interior
- Realized public interior
- Apartment interior design
- Residential building project
- Public interior project
- Completed interior: interior decoration and styling

Diplomas were awarded to the finalists of the nominations at a dazzling, solemn award ceremony.

The winners of the nominations were awarded with the symbol of KUKHA DESIGN AWARD 2024 - a beautiful statuette. There were lots of special gifts and prizes from sponsors and partners. About four hundred guests attended the award ceremony.

You can see the extraordinary atmosphere of the award ceremony on the website of the competition: https://kukhaaward.by/ or on Instagram @kukha.award

We congratulate our colleagues - finalists and winners of the competition for this great recognition!

We congratulate the organizers of the competition for conducting the ceremony at a high level and wish them great success in the future!

***Photo by: Alexander Kozharsky.***
***(inst:@photographer_kazharski)***




